

რამდენიმე დამამტკიმებული გარემოება

დავით გაბუნია

მოქმედი პირები:

ეკა – დაახლოებით 35 წლის, მომლერალი

გიორგი (ძმა) – ეკას ძმა, 28 წლის

გურამი – ეკას და გიორგის მამა, 65 წლის

დედა – ეკას და გიორგის დედა, 62 წლის

გიორგი (მცირე) – 29 წლის

გიორგი (დიდი) – 30 წლის

/ აღნიშნავს რეპლიკების გადაფარვის ადგილს

პიესა დაიწერა როიალ ქორთ თეატრის ვორკშოპის ფარგლებში

პროლოგი

ეკრანი, პროექცია. ვხედავთ მხოლოდ სახეებს, მსხვილი პლანით.

დიდი	სახელი – გიორგი. სქესი – მამრობითი, მკვეთრად გამოხატული მეორადი სასქესო ნიშნებითაც შემატყობდით, დიდი ეჭვი მაქვს. 30 წლის. თანდათან ვსუქდები, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღეები ვმუშაობ. ფიზიკურად. პროფესიით ქიმიკოსი ვარ, მაღალმოლექულურ ნაერთა ქიმია. ვმუშაობ ქალალდის ფაბრიკაში. ბოლო 2 წელია. მძიმე სამუშაოა და ცოტას იხდიან. ვცხოვრობ დედასთან და ორ უმცროს დასთან ერთად, მოსკოვის პროსპექტზე. სახელი უღერს, მაგრამ დამერწმუნეთ, საშინელი უბანია და თან – ძალიან შორს. ვგიუდები დედაჩემის გაეთებულ საცივზე, ვიცი, რომ ძალიან სტანდარტული სიყვარულია, მაგრამ მართლა ვგიუდები. მამაჩემი მკვდარია, დიდი ხნის წინ მოკვდა. მამაჩემის დასაფლავების დღე მახსოვს, საშინლად ცხელოდა და ოთახში ბალზამირების სუნი იდგა. ისეთი სიცხე იყო, რომ ბალზამმა კარგად ვერ იმუშავა და მამაჩემი აყროლდა. დასაფლავების დღეს კუბო სულ თავდახურული იდგა, მაგრამ მაინც ყარდა. სახლიდან გასვენების წინ კუბოს თავი ახადეს, ოჯახის წევრები გამოემშვიდობეთო. ნეტავ არ ახადათ, ან იმწუთას იქ არ ვყოფილიყავი. ასეთი დამამახსოვრდა მამაჩემი: მკვდარი, გამწვანებული სახით, შევარდნილი ლოყებით. ცუდია, ასეთი რომ დამამახსოვრდა. ყველაზე დიდი სისულელე ჩავიდინე, როცა 19 წლის ასაკში ჩემს ჯგუფელებთან ერთად არ წავედი გერმანიაში და სამუდამოდ იქ არ დავრჩი. მამაჩემის გარდაცვალებიდან მხოლოდ ერთი წელი იყო გასული და დედას და დებს მარტო, უკაცოდ ხომ ვერ დავტოვებ-მეთქი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. მორჩა. დავამთავრე. დიდი მადლობა.
პაუზა	შეგიძლია, გამორთო.

წამიერი სიბნელე. ირთვება მეორე ვიდეო-პროექცია

მცირე	მე მქვია გიორგი, 29 წლის ვარ. თითქმის 30-ის, ანუ მალე ვხდები 30-ის. სიამოვნებით ვიქნებოდი ცოტა უფრო მაღალი, რომ შემეძლოს, მაგრამ არ შემიძლია. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ საქართველოში 176 სანტიმეტრი მამაკაცისთვის საშუალო სიმაღლედ ითვლება. პროფესიით ფოტოგრაფი ვარ. სხვა რაღაცებსაც ვსწავლობდი, მათ შორის კლასიკურ ფილოლოგიას და იურისპრუდენციასაც, მაგრამ ყველაფერს თავი დავანებე და ფოტოგრაფია დავამუღამე ბოლოს. საქართველოში ფოტოგრაფობა ძნელია – ყველა აჩხაკუნებს, ვისაც არ ეზარება, მაგრამ ფოტოების გაყიდვა ყველას უჭირს. უურნალები ძაან ცოტას იხდიან, თან – იქაც მაფიაა, თუ ნაცნობი არ გყავს, ჩემ
--------------	---

ფეხებს შეაღწევ. ჩემი ოცნება იყო ნიუ-იორკი. იქ ჩემი ერთი მეგობარი ცხოვრობს, ფეშენში მუშაობს ძირითადად, სუ მოდელებში აქვს საქმე. შენ წამოსასვლელი ფული იშოვე და აქ მე დაგეხმარებიო, შემომითვალა. თავიდან ძალიან გაუჭირდა იქ, მაგრამ მერე შეეჩვია და საქმეც მაგრად აიწყო. ბევრ ფულს უხდიან და სულ მოდელებში დატყნაურობს – ჩვენებების დროს თურმე სულ არ გაქცევენ ყურადღებას, ეგრევე იხდიან ყველაფერს და რო წაიკუზებიან, / ვარდისფერი პროჭები უჩანთ

იბნევა. პაუზა

თბილისში არ დავბადებულვარ, დედაჩემი და მამაჩემი გადმოვიდნენ აქ საცხოვრებლად 1986 წელს. თბილისში სკოლაში პირველად რომ წამიყვანეს, ბავშვებმა დამცინეს, როგორ ლაპარაკობო. ჩემი აქცენტი არ მოეწონათ. სკოლის მერე ყოველთვის და ყველგან ვმალავდი, რომ თბილისელი არ ვიყავი. ჩემი უმცროსი ძმაც მალავს. მამაჩვენს არ ესმის, რა არის ამაში დასამალი. თვითონ ამაყობს თავისი იმერული აქცენტით, ის კი არა, მთელი ნომრები აქვს მოფიქრებული – რამდენიმე ანეგდოტი, მათ შორის, რომელსაც ყველა ახალ ნაცნობს უყვება და ისინიც იცინიან. წესიერი კაცია, სულ ხელფასზე ცხოვრობდა, არაფერი არ მოუპარავს ცხოვრებაში. თუმცა, ალბათ, არ ქონია შანსი, დიდ თანამდებობაზე არასოდეს არ უმუშავია. სულ გვეუბნება მე და ჩემს ძმას – თქვენ მაინც ივარგეთო.

ვივარგე, კი. როგორ არა. ბოლო 2 წელია, ქალალდის ფაბრიკაში ვმუშაობ – ამათ მომაწყვეს – გიორგიმ და გიორგიმ. სხვა მეგობრები არ მყავს. მამაჩემი ამ ამბავს რომ გაიგებს, გული ხევს ალბათ, ვერ გადაიტანს. დედა დატრიალდება – არ დაიბნევა და იმაზე დაიწყებს ფიქრს, როგორ დამეხმაროს. სულ ეგრე იყო. რეებს ვლაპარაკობ.

პაუზა.

მორჩა. გამორთეთ.

წამიერი სიბნელე. ირთვება მესამე ვიდეო-პროექცია.

ქმა 28 წლის ვარ. ჩემი სახელია... (პაუზა) გიორგი. ამ ქვეყანაში ყოველ მე-3 თუ მე-5 მამაკაცს ქვია გიორგი. საქართველოს მფარველი წმინდანი არის წმინდა გიორგი და ამბობენ, აქ 365 ეკლესიაა წმინდა გიორგის სახელობისო. მე ამის არ მჯერა, იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, გაცილებით მეტია. ვისაც არ ეზარება, ყველა ეკლესიას აშენებს. ყველგან აშენებს, სადაც შეიძლება თუ არ შეიძლება, საჭიროა თუ არა. ასე რომ, სრულებით დარწმუნებული ვარ, ხელახალი გადათვლის შედეგად ეს რიცხვი შეიცვლება – 365 კი არა, გაცილებით მეტი ეკლესია გვაქვს წმინდა გიორგის სახელობის. ჩემი მშობლებიც ისეთი უფანტაზოები აღმოჩნდნენ, როგორიც საქართველოს დანარჩენი მოსახლეობა და სახელად გიორგი დამარქვეს.

უფანტაზიო მშობლების საკომპენსაციოდ მწერალი გამოვედი.

ბოლო 2 წელია, არაფერს არ ვწერ. არ მცალია. სამსახურში ძალიან ვიღლები. მეც ქალალდის ფაბრიკაში ვმუშაობ და დღე და ღამე ვტვირთავ ფორმატებად დაჭრილ ქალალდს. რაც სახლიდან წამოვედი, თავი ხომ უნდა ვირჩინო რაღაცით.

მწერლობით თავს ვერ ირჩენ, შეუძლებელია. საქართველო ამ საქმისთვის მეტისმეტად პატარაა, აქ არ უყვართ წიგნები და ვისაც უყვარს, ისიც კი ძალიან ცოტას კითხულობს. არასწორი ქვეყანა მწერლისთვის. უფრო სწორედ, კარგი ქვეყანაა, უბრალოდ, აქედან აუცილებლად უნდა გაიქცე და მერე სამშობლოს მონატრებაზე წერო; ან აგინო სამშობლოს... მე არაფრის არ მეშინია. მამაჩემისაც არ მეშინია, 21 წლის ასაკშიც არ მეშინოდა და ახლა მით უმეტეს არ მეშინია /

კარზე ზარის ხმა აწყვეტინებს.

ისევ ის ქალია? მიდი რა, გაულეთ და დაიფრინეთ. მოტყნა ტვინი უკვე.

ელოდება. კარის მიმართულებით იყურება. ოთახში ვიღაც შემოდის. მაყურებელი ვერ ხედავს. ძმა ერთხანს უყურებს გაოგნებული.

გამარჯობა, მამა.

სიბნელე

სცენა 1

სცენა ნარმოადგენს კედლით გატიხრულ ორ ოთახს. ერთი დედას და მამას ეკუთვნით (სამზარეულო), მეორე - გიორგი ძმას (მისალები-სასტუმრო ოთახი). მოქმედება ხდება სიმულტანურად, მითითებული რემარკების გარდა, სასურველია, რეჟისორმა მშობლების სახლში უფრო მეტად "დააკავოს" დედა სხვადასხვა საქმიანობით. ძმის სასტუმრო ოთახში სხედან გიორგი ძმა, გიორგი მცირე და გიორგი დიდი. სიჩუმეა. ელოდებიან რაღაცას თუ ვიღაცას.

მეორე ოთახში სხედან დედა და მამა. ისინიც ელოდებიან.

ორივე ოთახში წინა პლანზე დევს 2 ტელეფონი.

მამა მოდი, კიდევ ერთხელ დაურეკე და კითხე, რას აპირებს.

დედა გუშინდლიდან მოყოლებული ოთხჯერ ველაპარაკე უკვე. მეტი რა ვქნა.

მამა დაიჭერენ, კაცო, დეზერტირობისთვის. მოგვეჭრება თავი. ესლა აკლდა

მაგას.

- დედა** გაჩერდი ახლა, ნუ დაიწყებ თავიდან, არაა მაგის დრო. გეხვეწები.
- მამა** აბა, რა ვქნა, ასე ვიჯდეთ და ველოდოთ, როდის გამოჩნდება?
- დედა** იქნებ წავიდა უკვე კომისარიატში, რა იცი შენ?
- მამა** მეტი არაა ჩემი მტერი. არ ვიცნობდე მაინც. ზის ალბათ ჩაჯმული / სახლში...
- დედა:** ხო გთხოვე, თავიდან ნუ დაიწყებ-მეთქი!
- მამა:** კაი, ხო, შენც! რა გამიტრაკე საქმე. 65 წლის არ ვიყო, მე ვაჩვენებდი ყველას, როგორ უნდა სამშობლოს დაცვა. მარა მე ჩემი წილი უკვე ვიომე, ბოლო დღემდე არ გამოვსულვარ სოხუმიდან. ზოგიერთებივით კი არ გამოვიქეცი. მორჩა, მოვჭამე მე ჩემი, ანი ამათი დროა, ახალგაზრდების. რომელ საათამდეა გამოცხადების ბოლო ვადა?
- დედა:** შვიდამდე.
- მამა:** ო, მე მაგისი დედაც რო მოვტყან, სადაა, სად იმალება ეგ ჩათლახი ბავშვი?
- დედა:** გურამ!
- მამა:** შენი გაზრდილია და იმიტომ. შენ მოიბი კალთაზე. ქალების გაზრდილი ბიჭი აბა რა იქნება, მარა კაი დროსია ახლა ამაზე ლაპარაკი. ეკა სახლშია? იქნებ იმას შეეხმიანა.
- დედა:** ვკითხე ეკასაც.
- მამა:** მერე?
- დედა:** არაფერი არ ვიციო.
- მამა:** სადაა?
- დედა:** არაა სახლში. სოფოსთან მივდივარო.
- მამა:** რა ესოფოვება მაგ კარგმოტყნულს კიდე! 40 კილომეტრში რუსის ჭარი დგას, თბილისს როდის დაარტყამენ, კაცმა არ იცის, ვერ დაეტევა სახლში?
- დედა:** მე რა ვქნა, მითხარი.
- მამა:** ჩემი ფეხები. შენ რომ რამე შეგეძლოს, აქამდე იზამდი, მარა არაფერი შენ არ შეგიძლია და...
- დედა:** მადლობა.

მამა: შენი ნერვი არ მაქვს ახლა. წადი, რამე მომიტანე საჭმელი. ლუკა არ ჩამსვლია პირში დილიდან.

დედა მიტრიალდება, გაზქურასთან მიდის. საჭმელს აცხელებს. მარტო დარჩენილი მამა ტელეფონს ხელს დაადებს, თითქოს ელოდება, როდის დარეკავს.

დიდი იქნებ, არ მოდის?

მცირე დარეკავდა.

ძმა 25 წელი დააგვიანა უკვე.

დიდი მიდი, დაურეკე.

ძმა მე რატომ უნდა დავურეკო? ადექი და შენ თვითონ დაურეკე.

მცირე ცოტაც დაველოდოთ და მერე მე დავურეკავ.

დიდი რომ არ მოვიდეს...

ძმა რა?

დიდი იქნებ არ მოვიდეს.

მცირე ხო, მართლა რომ არ მოვიდეს...

ძმა მერე რა?

დიდი იქნებ არ მოვიდეს.

მცირე შენ გირჩევნია, არ მოვიდეს?

ძმა თქვენ ეტყვით, როცა მოვა?

დიდი ყველამ ერთად ვუთხრათ.

მცირე არა მგონია, უარი თქვას.

ძმა თქვენ მას არ იცნობთ.

გიორგი მცირე ტელეფონთან მირბის, იწყებს ნომრის კრეფას. მეორე ოთახში მამა იღებს ყურმილს და კრეფს ნომერს. ზარები ერთმანეთს ეჯახება. დედა ლანგარზე დალაგებული საჭმლით მოდის მაგიდასთან.

დედა სად რეკავ?

მამა ომის გმირთან, მარა რათ გინდა. დაკავებაა. სულ ტელეფონზე კიდია ეს ჩემისა?

დედა საჭმელი მოგიტანე.

მამა რას მამადლი, გეგონება, სუ შენი შრომითაა ნაშოვნი ამ საჭმლის ფული. ნუ იღრინები, წესიერად დადგი მაგიდაზე.

დედა დებს ლანგარს. ოთახის მოშორებულ კუთხეში დგება. მამა ისევ რეკავს. იქით ოთახში ყურმილი დაკიდეს. ტელეფონის ზარი. ვიორგებს ვერ გადაუწვეტიათ, რა ქნან, უპასუხონ თუ არა ზარს.

მამა	აიღე, შენი კარგი მოვტყან. ბავშვობიდან მშიშარა იყო. ეშინია ახლა, ალბათ, გონია, რომ კომისარიატიდან ურეკავენ. მე რო შენს დედას შევეცი, რატო არ იღებ ყურმილს?!
მცირე	ვუპასუხოთ. ეკა იქნება.
ძმა	სახლის ტელეფონზე არ დამირეკავდა. გავაფრთხილე.
დედა	მობილურზე გეცადა.
მამა	მითხარი ნომერი.
დედა	593 123465
მამა რეკავს მობილურზე. ვიორგი ძმას მობილური ურეკავს.	
ძმა	აჲა. (დახედავს მობილურს, მშობლების ნომერს იცნობს) არა, სახლიდან მირეკავენ ისევ. დედაჩემი იქნება. გამიტრაკა საქმე, ოთხჯერ მელაპარაკა გუშინ.
მამა	არ პასუხობს ახვარი.
ძმა	არ ვუპასუხებ, ერთი მაგისიც.
დიდი	ძაან აგვიანებს უკვე.
მცირე	იქნებ, გადაიფიქრა და არ მოდის?
ძმა	არ ვიცი.
დიდი	მიდი, დაურევე.
ძმა	5 წუთიც დაველოდოთ.
მცირე	თუ გინდა, მე დავურეკავ.
ძმა	არა, მე თვითონ. ჯერ დაველოდოთ და მერე.
სხედან და ელოდებიან. მამა ამასობაში კიდევ ერთხელ რეკავს მათთან. ბიჭები ტელეფონს არ ეკარებიან. მამა ტელეფონს თავს ანებებს და ჭამას იწყებს. დედა იქვე ზის და აკვირდება, როგორ ჭამს მამა.	
დედა	სენაკის სამხედრო ბაზა დაბომბეს წუხელ. რეზერვისტი ბიჭებით იყო სავსე...
მამა	სენაკში რა უნდოდათ, კაცო?! სად სენაკი და სად ცხინვალი?
დედა	13 ბიჭი დაიღუპა თურმე. სულ პატარები. ძალიან მეშინია, გურამ. წარმოვიდგინე, ჩვენი გიორგიც რომ მანდ ყოფილიყო... ძალიან მეშინია. ვერ ჩააწყობ ვერავისთან? იქნებ გაწვევა გააუქმონ, გურამ...

მამა	რა სისულელეს ლაპარაკობ, ქალო. მაცადე ჭამა.
დედა	წარმოიდგინე, თურმე სატვირთო მანქანებიდან სამხედრო ფორმებს ურიგებდნენ ამ ბიჭებს, განათებულ მოედანზე და ამ დროს დაარტყა რუსების თვითმფრინავმა. რა საშინელებაა.
მამა	(გაურკვეველ ბგერებს გამოსცემს. ჭამს)
დედა	ფოთის პორტიც დაბომბეს.
მამა	პორტს რაღას ერჩოდნენ, მაგათი დედაც რო მოვტყან მე.
დედა	სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტებს ერჩიანო, ასე თქვეს ტელევიზორში. დიდი პანიკა თურმე ფოთში. მიშამ მთელ ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. რა გვეშველება, გურამ?
(პაუზა)	
მამა	ჭამას რომ მორჩება, დედა ნასუფრალს ალაგებს და ჭურჭლის სარეცხ ნიუარაში ჩააწყობს. პარალალურად მიმდინარეობს სცენა ბიჭების ოთახში. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კარზე ზარია.
დიდი	გაულე.
ძმა	მე რატომ უნდა გავულო?
დიდი	შენი სახლია და იმიტომ.
მცირე	მე გავულებ.
გადის.	რამდენიმე წამში შემობრუნდება ეკასთან ერთად. ეკა მზის სათვალეს და საზაფხულო თხელ შლაპას იხსნის.
ეკა	მეზიზლება ეს ქვეყანა! აქ ხომ ყველაფერი არანორმალურად მუშაობს! მაპატიეთ, ბიჭებო, ძაან დავიგვიანე, ხო? საგანგებო მდგომარეობა 6-დან რომ იწყება, იცოდით? მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ 7 გამოაცხადეს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამხელა ახსნა-განმარტებები დამჭირდა, სად მივდიოდი და რატომ, საბუთები მაჩვენეო და რა ვიცი, ათასი ჯანდაბა. მაგრამ ხომ მაინც მოვალნიე. აბა, რას ვიზამდი, ჩემს ძმას ომში არ გავაცილებდი? დამისხით ახლა რამე, სული მოვითქვა.
პაუზა.	ბიჭებს რეაქცია არა აქვთ. ამასობაში მამა ჭამას მორჩა. მიდის ტელეფონთან და რეკავს. არავინ პასუხობს.
ეკა	უპასუხეთ. (სიჩუმე) მე ვუპასუხებ.
პაუზა.	ეკა ტელეფონისკენ გაიწევს. ძმა გ ზას გადაუდობავს, ხელს დაუჭერს.
ძმა	არ გინდა.
ეკა	რატომ?
ძმა	მერე აგიხსნი.

მცირე დაუსხამს კონიაკს. მიართმევს.

მცირე გადაკარი უცებ, აზრზე მოგიყვანს.

ეკა ჩამოართმევს კონიაკიან ჭიქას. დედა ზუსტად იმავე მოძრაობას იმეორებს, კონიაკს მიართმევს მამას. ეკა და მამა გადაკრავენ ერთდროულად.

მამა ეს ეკა სად დაიკარგა, ეგ მაინც იყოს სახლში. ასეთ დროს გარეთ ბოდიალი შეიძლება? რამე შარში არ გაეხვიოს, კაცო.

დედა ვუთხარი და არ დამიჯერა.

მამა მყავხარ შენც დიდი ავტორიტეტი. ერთიც დამისხი.

ეკა დედას უნდა დავურეკო, არ ინერვიულოს. ერთიც დამისხი, გიო, რა.

ეკა რუკავს. დედა სასწრაფოდ მივარდება ტელეფონს, ყურმილს იღებს.

დედა ალო.

ეკა დე, მე ვარ.

დედა სად ხარ, შვილო?!?

ეკა სოფოსთან ვარ, დე, არ ინერვიულოთ. დაგირეკავ მერე გვიან კიდევ.

მამა კითხე ერთი, მისი ძმა ხომ არ შეხმიანებია.

დედა მამაშენი გეკითხება, გიორგი ხომ არ გამოჩენილა შენთანო.

ეკა არა, დე, არ გამოჩენილა. კაი, წავედი ახლა. გკოცნი.

დებს ყურმილს. ამასობაში მცირე მოართმევს კონიაკს ეკას, მამაც თავის ჭიქაში დაისხამს. მამა და შვილი ერთდროულად ასწევენ ჭიქებს და კონიაკს მოხვამებ.

სიბნელე

სცენა 2

სავარძლებისა და ტახტის ნინ გაშლილი პატარა სუფრა შელანძღვლია. უკვე უქეიფიათ. მაგიდაზე, საფერფლეში ბოლავს ანთებული სიგარეტი, რომელსაც არავინ ეწევა, თავისთვის ჩაიწვება ბოლომდე. **მცირე** ზურგით უზის ეკას. **ძმა** ცდილობს, ნაქეიფარი სუფრა მიალაგოს. ერთ-ორ თევზს აიღებს, ჩაფიქრდება და უკანვე დადებს. ეკა ჭიქაში ჩარჩენილ კონიაკს სვამს და სავარძლებს შორის ჩაჩრილ გიტარას აიღებს. ერთხანს გულისგამანვრილებლად ანყობს გიტარას, საჭირო ტონალობის პოვნა უჭირს, თან ღილინებს მელოდიას. ბოლოს გამართულად იწყებს სიმღერას. შუამდე რომ მიაღწევს, თვითონვე მიხვდება, რომ ყველას თავი მოაბე ზრა და ჩერდება, გიტარას გვერდზე გადადებს. პარალელურად დედა სამზარეულოში ტრიალებს. აუჩქარებლად ალაგებს იქაურობას. მეათასედ ხეხავს იატაკს, რომელიც უიმისოდაც სუფთაა.

ეკა ძაან გული მისკდება თქვენზე და ვნერვიულობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება. არ ვიცი, რატომ ვარ დარწმუნებული, როგორ

შეიძლება ასეთ რაღაცაში დარწმუნებული იყო, მაგრამ სიმართლე ჩვენს მხარეზეა, ჩვენ არავის არ ვერჩით, აქეთ გვერჩიან და თავს ვიცავთ. ამიტომ ვარ, ალბათ, დარწმუნებული, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ლმერთი არ გაგვწირავს.

პაუზა

დიდი მადლობა, ბიჭებო, მაგრამ ახლა ჩემი წასვლის დროც მოვიდა მგონია.

ძმა გიტარას მოშორებით გადადებს.

დიდი იყავი, სად გეჩქარება – მერე ერთად გავიდეთ.

ეკა კაი, ცოტა ხანსაც დავრჩები, ყოველდღე კი არ გაცილებთ ომში.

დიდი გვიმღერე რამე.

ეკა ოხ, კაი რა, რით არ მოგბეზრდათ თქვენც ეს ჩემი სიმღერა, რა იყო, მარლენ დიტრიხი ვარ? ისედაც ცოტა ხანს ვცოცხლობთ და ახლა კიდევ ჩემი სიმღერით შეგიმოკლოთ დღე? (კისკისებს)

მცირე (იღებს ჭიქას. სადლევრძელოს პათოსით)ვინ გითხრა, რომ ცოტა ხანს ვცხოვრობთ? უბრალოდ, ამ დროს ტყუილად, არაფერში ვფლანგავთ. სიცოცხლეს თუ ჭკვიანურად დააბანდებ კაცი, საკმაოდ გრძელია და სრულიად საკმარისიც დიდი საქმეების შესასრულებლად. უბრალოდ, არ ვზოგავთ, უაზროდ ვხარჯავთ და როცა ხელში შემოგვადნება, მაშინდა ვამჩნევთ, რომ აღარ დარჩენილა. ჩვენს ხელთ სანამ იყო, არ ვაფასებდით.

დიდი ისეთი რეჩი მოარტყა, კი უნდა გვიმღერო, ეკა.

ეკა ვიმღერებ, ჯანდაბას. გიო, მომაწოდე ერთი.

ძმა ადგილიდან არ იძვრის.

გიო!

ძმა რა ცუდია, რომ პიანინო არა მაქვს. არ ეტევა ამ პატარა ოთახში, თორემ ნახმარის ყიდვას როგორმე მოვახერხებდი.

ეკა დაკვრა როდის ისწავლე?

ძმა რამდენი ხანია უკვე...

ეკა მთელი ბავშვობა გძულდა და...

ძმა კაი ხანია უკვე.

მცირე	არც ისე ცუდად უკრავს, სხვათა შორის.
ეკა	ისევ გინდათ, რომ გიმლეროთ?
დიდი	მიეცით გიტარა, გვიმლეროს. ვგიუდები, ეკა რო მღერის. მანქანაშიც ეკას დისკი მაქვს სულ ჩართული.
მცირე	გაყიდე. 2 წლის წინ.
დიდი	მქონდა ჩართული.
ეკა	მოიცა, როდის? 2 წლის წინ? აბა, გავიხსენოთ ყველამ ერთად, როდის გამოვიდა ჩემი დისკი? შარშან, შემოდგომაზე. ჯერ ერთი წლისაც / არა ვარ...
დიდი	კაი, ხო! უბრალოდ, მომწონს ეკა როცა მღერის. მანქანაში არ ვუსმენდი, იმიტომ, რომ სანამ მანქანა მყავდა, ეკას დისკი ჯერ არ იყო გამოსული. როცა ეკას პირველი დისკი გამოვიდა, მანქანა უკვე აღარ მყავდა. გავყიდე და შევჭამე. მიდი ახლა, მიმღერე ცოცხლად.
ეკა	(გადაიხრება, კოცნის) შენთვის რას არ გავაკეთებ, საყვარელო!
დიდი	გააგრძელე. იგივე სიმღერა.
ეკა	ეკა თავიდან იწყებს იმავე სიმღერას.
დიდი (აწყვეტინებს)	მე გითხარი, გააგრძელე-მეთქი!
ეკა	ეკა დაბწეული ჩუმდება, თუმცა, დაუკრას არ წყვეტს.
დიდი	აი, იქიდან გააგრძელე, სადაც გაჩერდი.
ეკა	(იცინის) რა იდიოტი ხარ! ხელს ნუ მიშლი! (აგრძელებს სიმღერას)
დედა	იმ დაღუპული ბიჭების დასაფლავებაზე ისე ცოტა ხალხი ყოფილა ფოთში. ქალაქიდან ყველა გარბის. ვინ დარჩება, არ მიკვირს. ვის აქვს ორი თავი? მე რომ ვყოფილიყავი, მეც გავიქცეოდი. რა ადვილია ასე ლაპარაკი. შორიდან. იმათი დედები რას გრძნობენ ახლა? მტერს არ ვუსურვებ ამის განცდას. ჩემი გიორგიც რომ იქ ყოფილიყო... არა. არა.
	(სწრაფად აკრეფს იატაკის საწმენდ ტილოს, წყლით სავსე ვედროს და სამზარეულოდან გადის.)
ძმა	მისამღერი აუცილებლად ორჯერ უნდა გაიმეორო?

- ეკა (ჩერდება) თქვენ სუ ხო არ გააფრინეთ, აი! რა გინდათ, ამან გააგრძელეო, იმან – არაო /
- მცირე ხო, გვიმღერე / და მერე
- ეკა შენ არ გეუბნები ვაფშე, ჩემს ძმას ვუთხარი. ჩემი უმცროსი ძმა ომში მიდის და სიმღერას როგორ დავამდლი. მომე გიტარა. ძაან დავთვერი, მგონი.
- აწვდიან გიტარას. აკორდებს აიღებს.
- ეკა (წამღერებით) რა გიმღეროთ?
- ძმა ჩვენი ბავშვობის საყვარელი სიმღერა.
- ეკა (წამღერებით) ეგ რომელია?
- ძმა დაიკიდე.
- მცირე თქვენ შორის რამდენი წელია სხვაობა?
- დიდი 7.
- მცირე შენ არ გეკითხები, ეკას ვკითხე.
- ეკა 8 წლით უფროსი ვარ მე.
- დიდი ვაა, მაგდენის კი ხარ? არ გეტყობა.
- ეკა ჩემი გაზრდილია, / შეიძლება ითქვას.
- ძმა მთვრალი ხარ. აიღე გიტარა და დაუკარი.
- ეკა რა რა მჭირს? არაფერი არ მჭირს. ვარ ჩემთვის და არაფერი არ მჭირს. არც არასოდეს არაფერი არ მჭირდა/
- დიდი ეუფ!
- ეკა შენი მეგობრების თანდასწრებით მაინც ნუ მოვაწყობთ საქმეების გარჩევას. ამისთვის სხვა დრო გამოვნახოთ, როგორმე.
- ძმა კი, თუ დავბრუნდი ცოცხალი, გამოვნახავთ. გვიანია უკვე, შენი წასვლის დროა. მამაშენი ინერვიულებს.
- დიდი ნუ მაცინებთ! 34 წლის ქალს ჯერ კიდევ მამა აკონტროლებს?
- ძმა გამაცილე, ახლა გეყოფა. წადი, სანამ გვიჩეუბია.
- დიდი ეკა, არსადაც არ წახვალ. აქ დარჩები.
- ძმა მოწყვეტით დგება. თევზებს მაგიდიდან აიღებს და სწრაფად გადის.

- მცირე** მე მივხედავ.
- მიჰყება** ძმას.
- ეკა** რა გჭირთ თქვენ დღეს? სულ დაძაბულები რატო ხართ?
- დიდი** რა უნდა გვჭირდეს მეტი – ომში მივდივართ, ეკა. ბოლო გულაობაა. თანაც, შენი ძმის თანდასწრებით რომ მეზასავე, აბა, რა გეგონა?
- ეკა** კაი, რა სისულელეა, შენ გგონია, არ იცოდა ჩვენზე? „ჩემი ბოზი უფროსი დაიკოს თავგადასავლები“.
- დიდი** რა?
- ეკა** ერთი ბლოკნოტი ქონდა, სადაც ჩემს მოყოლილ ამბებს იწერდა. ხო, რა გაცინებს, მართლა იწერდა. რო ვკითხე, რად გინდა-მეთქი, შენზე წიგნი უნდა დავწეროო, მიპასუხა. არა, აზრობ, რა აუტანელი ბავშვი იყო?
- დიდი** ახლაც ეგეთია.
- მცირე** და ძმა ოთახში შემობრუნდებიან.
- მცირე** მე და გიომ მოვილაპარაკეთ და გიბრუნებთ გიტარას. სულ არ გვინდა, რომ შენი ჩვენთან სტუმრობა ცუდად დამთავრდეს.
- ძმა** დიდი ბოდიში, რომ პიანინო არა მაქვს.
- ეკა** ნუ გამაგიშე, რა გჭირს?
- ძმა** დიდი ბოდიში, რომ შენი ძმა კარგი მასპინძელი ვერ აღმოჩნდა /და საერთოდ...
- მცირე** კიდევ ხომ არ დაგველია?
- დიდი** რატომაც არა, მიდი, გვითამადე. შენ ეს ყოველთვის კარგად გამოგდიოდა.
- ძმა** ბავშვობიდან კარგად უკრავდი. ტყუილად არ გატარებდნენ ესე იგი, მუსიკაზე. ხომ ხედავ, როგორ გამოგადგა. მე და ჩემ, უფრო სწორედ, ჩვენს საერთო მეგობრებს გაგვართობ ახლა / შენი ტალანტით
- დიდი** შენ მანდ დაჯექი. მე აქ დავჯდები. ეკა გვერდით დამიჯდება.
- ეკა** რა გჭირთ, არ იტყვით? რა უცნაურად ლაპარაკობთ.
- მცირე** არაფერი, კაცო, რა უნდა გვჭირდეს. მიდი, დაგვიკარი რამე. უფრო სწორედ – გვიმღერე რამე.
- ეკა** მაშინ ვიმღერებ, როცა მომინდება. ახლა არ მინდა. მოაშორე ეგ გიტარა.
- მცირე** კარგი, როცა მოგინდება. სად გვეჩერება მაინც.

ეკა თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე მეჩქარება უკვე.

დიდი დარჩი, ეკა.

ხელს უჭერს.

ეკა რას აკეთებ?

დიდი ჩვენთან დარჩი.

კოცნის.

ეკა შენ ხო არ გეშლება რაღაც /

ძმა მე გავალ.

ეკა სად გახვალ?

ძმა გვერდითა ოთახში/

ეკა არ დამტოვო.

ძმა კარისკენ გაიწევს.

როგორიც მთელი ცხოვრება იყავი, ისეთივე დარჩი – ჩმორი, უსაქმური. ყველამ თავზე ხელი უნდა გადაგისვას, ყველა უნდა გაგიფრთხილდეს, ყველას უნდა უყვარდე. რატომდაც ყველას უნდა ეცოდებოდე, შენი ნაჯღაბნით ყველა აღფრთოვანებული უნდა იყოს. ხალხო, ჩემი ძმა გენიოსია, როგორ ვერ ხვდებით, რატომ არ ეფერებით, მან ეს დაიმსახურა. თითო არ გაუნდრევია და მაინც დაიმსახურა. გადაგვაყოლა ყველა თავის საცოდაობას. სად მიდიხარ? რატომ არ მცემ პასუხს? ჩემი გეშინია? დამელაპარაკე, მიდი, დამელაპარაკე.

ძმა სწრაფად გადის.

დიდი ჩემთან დარჩი. ვითომ ადრე არ დარჩენილხარ? / რა მოხდა

მცირე დიდი ამბავი, ხვალ ომში მივდიგართ, რომ ვერ გადავრჩეთ, არ ინანებ?

მიუახლოვდება, მხარზე ხელს დაადებს. მერე უხერხულად აკოცებს ლოყაზე და გვერდით დაუდგება.

დიდი თავიდანვე ვიცოდი, რომ ამასთანაც ტყნაურობდი. უბრალოდ, არ მესმოდა, რატომ.

მცირე კითხე და მოგიყვება.

დიდი თვითკმაყოფილების საფუძველს ვერ ვხედავ.

მცირე	შენ რატომ უნდა ხედავდე? ვინც საჭიროა, ბნელ ოთახშიც კარგად ხედავს ხოლმე.
	შუქურასავითაა, რო წამოიმართება, ამდგარი ძაან შორიდანაც კარგად ჩანს...
ეკა	გეყოფათ!
დიდი	გეთანხმები, ეკა! აქ ამ საქმის გასარჩევად არ მოვსულვართ და თანაც – რა გვაქვს გასაყოფი, ჩვენმა ეკამ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ვითარებაში ამოიღო და ერთი კარგად დაგვადო სველი ორივეს. საამაყოს ამაში, მე პირადად, ვერაფერს ვხედავ. მიტოვებული კაცები ვართ /
ეკა	რა დამპალი ენა გაქვს. მე თქვენ არაფერს არ დაგპირებივართ /
დიდი	არა, რა თქმა უნდა. ჰოდა, მით უმეტეს, არ ღირს ამ თემაზე / ლაპარაკი.
ეკა	არა, რატომ, ვილაპარაკოთ. რაღაც ცოცხალი თავით არ მეუბნებით, რა დაგემართათ. ვილაპარაკოთ ჩემზე.
დიდი	მომფხანე რა.
	მაისურს აინევს და მუცლის მარჯვენა, ქვედა კუთხისკენ უთითებს.
მცირე	რას აკეთებ?
დიდი	მიდი, მომფხანე. ხომ გახსოვს, ბრმანანლავის ოპერაცის რომ გავიკეთე, რა მითხარი? გაპარსული ფანჩარი სექსუალურიაო. ხოდა, ახლაც გაპარსული მაქვს, შენ მიმაჩვიე. არადა, 5 წელი გავიდა.
ეკა	ოთხი.
დიდი	დავიჯერო, ოთხ წელინადში ისე შევიცვალე, რომ სულ არ გინდივარ? პირში აიღე- მეთქი, ხომ არ მითხოვია, უბრალოდ მომფხანე, დიდი ამბავი. ჭრილობას ხედავ? სულ გათეთრდა. შენ რომ ვარდისფერი ქერცლის გადატყავება გიყვარდა, მორჩა, ახლა ვეღარ გადაატყავებ. ისე, ზღვაზე როცა ვისვენებ, რაღაც ქერცლს მაინც იკეთებს, ექიმს ვაჩვენე და ეგ არაფერი, მარილები გროვდება, უბრალოდ გადაიტყავე და მორჩაო. ვზივარ ჩემთვის და მე თვითონ ვიტყავებ.
ეკა	სულ არ შეცვლილხარ, / ისევ ისეთი
მცირე იცინის.	
დიდი	შენ რა გაცინებს? შენ უფრო მალე არ დაგადო?
ეკა	გეყოფა!
დიდი	ძალით დაუჭერს ხელს და ბოქვენს აფხანინებს.

დიდი	აი, ასე. აი ასე. კარგია.
ეკა	(სიმწრით, მცირეს) მომეხმარე, რას უყურებ?
დიდობს, ხელი გამოსტაცოს.	
მცირე	ჩემთან ორი თვე იყო. მაგრამ ამ ორი თვის მანძილზე ყოველდღე ვხვდებოდით.
ეკა	დამპალო!
დიდი	მამამისის კაბინეტში, დათვის ტყავზე შენც მოტყანი, თუ მხოლოდ მე მერგო ეს დიდი პატივი?
მცირე	ნინასწარ ვურეკავდი. ერთი საათით ადრე. ავიღებდი ტელეფონს. ჩავრთავდი. სულ გამორთული მქონდა. მე ტელეფონი არ მჭირდება. ჩავრთავდი და დავურეკავდი. ეკა, მოვდივარ-მეთქი. ვეუბნებოდი. იცოდა, რომ ზუსტად ერთ საათში მივიდოდი და აბაზანას ამზადებდა. აბაზანაში დიდხანს ვიწექით ერთად და ყურში რაღაც სისულელეებს მეჩურჩულებოდა. მერე იქვე, საჩვენებელ თითზე საპონს წაისვამდა და პროჭში ნელა შემიცურებდა. ძალიან მტკიოდა, მაგრამ არ ვეუბნებოდი, გული რომ არ დაწყვეტოდა. ამას ჩემი სიამოვნებისთვის აკეთებდა, მე მას მართლა ვუყვარდი, მთელი 2 თვე, თითქმის ყოველდღე.
დიდი	გული ამერევა ახლა.
ეკა	შენ კი არა, მე ამერევა გული.
დიდი	დაგადო, კუკლი, დაგადო! ჯერ მე დამადო, მერე – შენ. ამიტომაც გემეგობრები – ჩვენ ვართ ეკას ყოფილი მტყვნელების კლუბი. ჩურ, თავმჯდომარე მე ვარ, შენ თუ გინდა, სწავლულ მდივნად დაგნიშნავ.
ეკა	სწორად მივმხვდარვარ – როგორი უმადური ყლეებიც მაშინ იყავით, ისევ ისეთები ხართ. ორივე. შენც და შენც. აქ ამისთვის მომიყვანეთ? საქმეების გასარჩევად? ორივეს მაგრა შიგ გაქვთ. და ჩემს ძმასაც შიგა აქვს. წავედი. გასასვლელისკენ გაიწევს, მაგრამ დიდი გიორგი ძალით დააკავებს.
მცირე	(ძალიან ხმამაღლა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო) ეკა, დაუკარი და იმღერე, ეს დედამოტყნული, რა გახდა!
ეკა	(შეძინებული) გიტარა.
მცირე	რა გიტარა?
ეკა	გიტარა წაიღო იმან.

- მცირე** გიო! (პაუზა) გიო, მოიტა გიტარა. ეკა გვიმღერებს.
 (უფრო გრძელი პაუზა) გიო, გამო რა!
 ისმის გიტარის მტვრევის ხმა. გინება. მცირე წამოხტება, კარს სწრაფად გააღებს და ბენჭე
 ასცდება იქიდან გამოსროლილი დამტვრეული გიტარა.
- ძმა** (სცენის მიღმა) გაიკეთეთ ტრაკში!
- ეკა** კარგი. ახლა მე აქ დავჯდები და სანამ ჩემი ძმა არ ამიხსნის, რა ხდება, არსად არ
 მივდივარ.
- ჯდება. თმას და კაბას ისწორებს. წინ იყურება. სრულ სიმძიდეს ასხივებს.
- ძემოდის ძმა.**
- ძმა** შენი დახმარება გვჭირდება, ოლონდ, უარის თქმის უფლება არ გაქვს.

სიბნელე

სცენა 3

დედა მარტოა თავის ოთახში. ურეკავს გიორგის. ტელეფონის ზარი. ყურმილს არავინ იღებს.
 ბიჭები და ეკა ტელეფონს მისჩერებიან. დედა გაბმულად რეკავს, არ ჩერდება.

- დედა** შვილი ომში მიდის და მე უნდა მიხაროდეს, ხო? ამაყი ქართველი დედა ურეკავს
 შვილს, რომ შეახსენოს, შვილო, ომში წასვლა არ დაგავინყდეს. შვილი არ
 პასუხობს. რა უნდა ქნას დედამ? რა შეუძლია დედას? კიდევ ერთხელ დაურეკავს
 შვილს და შეახსენებს, შვილო, ომში წასვლა არ დაგავინყდეს. თან რომ მიხარია –
 კიდევ კარგი, იმ ბაზაზე არ იყო ჩემი შვილი. იმ ცამეტიდან ერთ-ერთი არ იყო.
 კიდევ კარგი, ცოცხალია. რა, არ უნდა მიხაროდეს? ყველა გარბის აქედან.
 აზერბაიჯანის საზღვართან რიგი დგასო მანქანების. ვისაც ფული აქვს, ყველა
 გაიკრიფა – ჩაბარგდნენ მანქანებში და გარბიან.
- ეკა** იქნებ ვუპასუხოთ.
- დიდი** არა.
- ეკა** არ მჯერა.
- მცირე** რა არ გჯერა?

ეკა	სამი ამხელა კაცი დასხედით და ასეთი ყლეობის მეტი ვერაფერი ვერ მოიფიქრეთ?
დიდი	ყოველთვის მომწონდა, კაცივით რო იგინებოდი. გინებაზე მიდგება.
ეკა	რამ გამოგაყლევათ?
მცირე	სხვა გზა არა გვაქვს, ეკა.
დედა	დედა ისევ ტელეფონთან დგას და ხელახლა რეკავს. ზარის ხმაზე ყველანი ჩუმდებიან.
დედა	ეს გოგო მაინც სად დაიკარგა? ეგეც ომში ხომ არ მიდის.
	კიდებს ყურმილს, ისევ იატაკის ხეხვას იწყებს. მალევე ხვდება, რომ სრულიად ზედმეტია ეს საქმიანობა. ეტირება და ოთახიდან გადის.
ეკა	არა, არ გამოვა ეს საქმე.
დიდი	რა არ გამოვა? 2 დღე დაჯდები ჩვენთან, დაგვიკრავ, გვიმღერებ, მერე დაიხურავ შლაპას და წახვალ სახლში. რა ძნელი ეგაა? მიდი ეხა, ნუ ატრაკებ ზედმეტს.
ეკა	(ძმას) თქვი რამე.
ძმა	არც მე არ მაქვს სხვა გზა. 15 ათასი მოგვთხოვეს თითოს, თურქეთის საზღვარზე გაგვიყვანენ და იქიდან საბერძნეთში გადაყვანას გვპირდებიან ავტობუსის საბარგულით. სარისკოა, მაგრამ მთავარია, როგორმე შენგენის ზონაში შევყოთ თავი.
ეკა	რომ დაგიჭირონ, ხო ხვდებით, რაც გელოდებათ? ვერ ვიჯერებ, რომ / ამხელა ხალხი
დიდი	რას ვერ იჯერებ? შენს მამიკოს აქვს ბევრი ფული. შენი მამიკო არის ქალალდის ფაპრიკის მფლობელი. იმისთვის, რომ შენმა მამიკომ ხარისხიანი საჭმელი ჭამოს, მერე ხარისხიან უნიტაზში მოჯვას და მერე ხარისხიანი ტუალეტის ქალალდით გამოიხოცოს ბანჯგვლიანი ტრაკი, სამი საწყალი და ნიჭიერი ბიჭი, სამივე გიორგი, სხვათა შორის, პროჭზე ვიხევით. ეგ არ ეყოფოდა და ახლა მისი ბანჯგვლიანი ტრაკი რუსებისგანაც უნდა დავიცვათ? ბებიამაგისამ, საქმე არა მაქვს მეტი. ჰოდა, ჩვენც მოგვიტეხოს ცოტა ფული.
მცირე	ძალიან ბევრსაც არ ვითხოვთ. სულ 60 ათასი გვინდა. 20-20 თითოს. მამაშენის ხარჯზე გამდიდრებას არავინ არ აპირებს. 15-ს გვთხოვენ თითოს საზღვარზე არალეგალურად გადაყვანაში. 5-5 დაგვრჩება ხელზე, თავს რომ მივხედოთ.

- ეკა** (ძმას) ამოიღე ხმა, თქვი რამე!
- ძმა** რა უნდა ვთქვა? ამათ ყველაფერი გითხრეს უკვე.
- ეკა** რას ქვია, რა უნდა თქვა? შენ შემომიტყუე აქ, ჩათლახო პიდოვკა! არაფრის ღირსი შენ არა ხარ! ფუ, რა დებილი ვარ და ქაჯი. ამაგდე, ხო? და ამ სირებს აყევი?
- ძმა** მე არავის არ ავყოლილვარ.
- ეკა** დაგითრიეს იდიოტი ღლაპი დიდმა ბიჭებმა. მოუყევი, მამიკოს რომ არ უყვარხარ? მამიკომ ბიჭი სახლიდან გააგდო, ბიჭს ფულები არა აქვსო. მამიკოს არ მოსწონს, ბიჭი რომ სხვა ბიჭებთან ტყნაულობსო, მამიკო გაგვიბრაზდებაო.
- ძმა** გეყოფა!
- ეკა** მოიცა. მოიცა! ამათაც მოგტყნეს?
- ძმა** გეყოფა!
- ეკა** არაა, არ არსებობს! კაცებზე გადახვედით უკვე?
- დიდი** ყოველთვის მომწონდა შენი ბინძური ენა.
გიორგი მცირე დაბწეული დგება, თეფშს აიღებს, თითქოს დალაგებას იწყებს.
- ეკა** რა გიქნეს ამისთანა, საკუთარი და რომ გაიმეტე, შე დამპალო?
- ძმა** (მცირეს) მე დავალაგებ. დაანებე თავი.
- თეფშს გამოართმევს და სწრაფად გადის.
- ეკა** დამპალო ნაბიჭვარო! არადა, როგორ მეცოდებოდა, მამამ სახლიდან რომ გააგდო. უარესის ღირსი ყოფილა. მეც კაი ტიპი ვარ, ვზივარ აქ და გისმენთ. მადლობა თქვით, პოლიციაში რომ არ ვრეკავ.
- დიდი** მიდი, აბა, სცადე და დარეკე.
- ეკა ჩანთიდან მობილურს იღებს. მცირე მიახტება და ძალით წაართმევს. ეკა სტაციონარული ტელეფონისკენ გაინევს. არავინ უშლის ხელს. ეკა ყურმილს იღებს, რეკავს სახლში, ზარის ხმა. ოთახი ცარიელია. ეკა ერთხანს კიდევ რეკავს. შემორბის დედა, დაეძგერება ყურმილს.
- დედა** ალო, გისმენთ.
- ეკა** დედა /
- დიდი ყურმილს გამოგლუჯს. დაახეთქებს.
- დედა** ეკა, ალო, ეკა... ეკა.
- ეკა** არ ვარ თანახმა. რას მიზამთ?
- დიდი** გაგკოჭავთ და ეგერ, იმ ოთახში შეგაგდებთ. სხვა არჩევანს არ გვიტოვებ.

მცირე	არ გვინდა გაკოჭვა და ძალადობა. მოდი, უბრალოდ, დაგვეხმარე. შენთვის სულ არაა ძნელი. 2-3 დღე, რა მოხდა.
ეკა	არა.
ძმა	მე ხომ ვამბობდი.
დიდი	კაი, სხვა გზა არ გვაქვს. დროს ვერ დავკარგავთ.

ეკა წამოხტება, კარისკენ გარბის. აკავებუნ და ძალით შეათრევენ საძინებელში. ყვირის, ჩხუბობს, ილანძლება. ცოტა ხანში ხმაური წყდება, სავარაუდოდ პრიში რაღაც ჩასჩარეს. დედა ჯდება და სიმღერას იწყებს, იგივე სიმღერაა, რასაც ეკა მღეროდა. შემოდის მამა.

მამა	გამოჩნდა შენი შვილი?
დედა	არა.
მამა	აბა, რა გამღერებს შე კარგმოტყნულო!

მიდის ტელეფონთან, რეკავს ბიჭებთან. ცარიელ ოთახში ყურმილს არავინ იღებს.

დედა ერაყიდან გამოუწვევია მიშას ჩვენი სამშვიდობო დანაყოფი – 1000 ჯარისკაცი. ჩამოვლენ მალე და ცუდი დღე დაადგებათ რუსებს. აი, ნახავ. ეგენი ხომ ამერიკელებმა გაწვრთნეს სპეციალურად ერაყისთვის, სულ ნარჩევი ბიჭები არიან, თურმე, ერთი მეორეზე უკეთესი. მაგათ იციან ომი თუ იციან. გზაში არიანო, მალე ჩამოვლენო, ასე თქვეს. მაგრამ იქნებ უკვე ჩამოსულებიც არიან, მაგათ ვენაცვალე, იქნებ უკვე საქართველოში არიან. ამას ჩვენ ვინ გვეტყვის, სამხედრო საიდუმლოა. მაგათ უნდა გადაგვარჩინონ. შენ წარმოგიდგენია, 1000 კბილებამდე შეიარაღებული კომანდოსი, თუ რაც ქვია, რამხელა ძალაა? იქნებ მართლა გვიშველონ? (ტირის) იქნებ არ გახდეს საჭირო სხვების ომში წაყვანა? ჲა, გურამ, თქვი რამე, გთხოვ. ერაყში გამოცდილებას ეხუმრები შენ? ეგ ბიჭები დაგვიცავენ. გადაგვარჩენენ.

(სუსტად მღერის ეკას სიმღერას)

სიბნელე

სცენა 4

საძინებელი ოთახიდან ისმის სიმღერა. ეკა აშკარად წვალებით მღერის. ცდილობს, ხმამაღლა იმღეროს, მაგრამ არ გამოსდის.

ძმა	რა მოხდება, ცოტა ხნით რომ გაჩუმდეს.
დიდი	უნდა აღიარო, რომ გადასარევად მღერის.
ძმა	კი და თან, რეპერტუარი აქვს ”გადასარევი”.
მცირე	ამას კიდევ რა უჭირს, კარგი სიმღერაა თავისთავად. ჩათვალე, რომ გაგვიმართლა, თავისი ალბომიდან რომ არ მღერის მისთვის სპეციალურად დაწერილ სიმღერებს.
დიდი	(ძმას) მიდი ერთი, დახედე. კითხე, რამეს შეჭამს თუ ისევ შიმშილობს.
მცირე	დოზაც მიართვი, თორემ ამხადა ტვინი ამ დედამოტყუნულმა სიმღერამ.
ძმა	შენ არა თქვი, თავისთავად კარგი სიმღერააო?
მცირე	გადავიფიქრე.
დიდი	როგორ ფიქრობ, ამას რატომ აკეთებს?
მცირე	რატომ მღერის? მე რა ვიცი, ალბათ, გვაგიშებს.
ძმა	მე უკვე გავგიშდი.
საძინებელში გადის.	
დიდი	ჰიჩკოკის ფილმი არ გახსოვს? თჲე ან ჭჭო ნენ თოო უცჲ.
მცირე	არა.
დიდი	მოკლედ, იმ ფილმში პროჭი ტიპები ძალიან მდიდრულ სასახლეში მაღავენ მოტაცებულ ბავშვს. დედამისი ცნობილი მომღერალია და სწორედ ამ სახლში გაიჩალიჩებს სალონურ კონცერტს. მოკლედ, ზის ეს ქალი როიალთან, უკრავს და თან იმხელა ხმაზე მღერის, მღერის კი არა, ღრიალებს უე სერა, სერა, წჷატევერ წილლ ბე წილლ ბე...
	მოკლედ, ღრიალებს, რომ იქნებ როგორმე ბავშვს გააგონოს. ბავშვი აუცილებლად იცნობს დედამისის ხმას და თუ სადმე ახლოს ყავთ დამალული, აყვირდება. ამასობაში ამ ქალის ქმარი და / ბავშვის მამა
მცირე	არ მაინტერესებს. პრიმიტიული ქაჯობაა.
დიდი	არ ვიტყოდი. პირიქით – გენიალური ფილმია.
მცირე	არ მესმის, რისთვის მიყვები.

- დიდი** არა? კაი, რა გაეწყობა.
- უცებ იწყებს მთელი ხმით ღრიალს უე სერა, სერა, წჰატევერ წილლ ბე წილლ ბე... ისე რომ
ეკას ხმა გადაფაროს.
- მცირე** (დაეტაკება, პირზე ხელს აფარებს) სუ გამოყლევდი?
- დიდი** ვცდილობ, ვიმღერო.
- მცირე** ხო, არა? მიდი ბარემ, აიღე ყურმილი, დაურეკე პოლიციას, უთხარი სადაც ვართ
და ჩემგან გადაეცი, უსაზღვროდ მოხარულნი ვიქნებით, თუ გვეწვევით-თქო.
- დიდი** ბინგო! ახლა მიხვდი?
- მცირე** ამაზე უნდა გამეცინოს?
- დიდი** გესმის? ისევ მღერის.
- მცირე** არადა, თავის დროზე როგორ მიყვარდა მისი მოსმენა.
- დიდი** მეც.
- ძმა** გამოდის ოთახიდან.
- ძმა** მორჩა, გავუკეთე. გაჩუმდება მალე. არის რამე ახალი?
- დიდი** ასე მალე სიახლეები არ ხდება, საყვარელო.
- მცირე** ეგრე ნუ ეძახი, ხო იცი, ეზიზლება.
- ძმა** მამიკოსგან არაფერი ისმის?
- დიდი** კი, ამწუთას დამირეკა, გზაში ვარ და ფულით გატენილი ჩანთა მომაქვსო. იქნებ
ბიჭებს რაიმე შემოგაკლდათო.
- მცირე** გაგვეცინა. მოკეტე ახლა.
- ძმა** მართლა ვნერვიულობ. ხო თქვა, 4 საათისთვის შეგეხმიანებითო, რატომ არ ჩანს?
- დიდი** რადიო მაინც ჩართეთ, გავგიშდი!
- მცირე** ჩართავს რადიოს, საიდანაც იგივე სიმღერა ისმის, რასაც ეკა უკვე მთლად
მიკნავლებული ხმით მღერის.
- დიდი** ისეთ ადგილას მინდა წასვლა, სადაც ეს სიმღერა არ იქნება.
- მცირე** აბა, აქ რას ვაკეთებთ შენი აზრით? გული მიგრძნობს, ფულიანი მამიკო მალე
მოვა.
- ტელეფონის ზარი. **მცირე** სასწრაფოდ თიშავს რადიოს. **დიდი** ძმას ანიშნებს, გოგო გააჩუმეო
და ტელეფონის ყურმილს იღებს.

დიდი	გისმენთ. გიორგი ვარ. / რას ქვია, "რომელი გიორგი"? / არა, დიდი მადლობა. სწორად გამიგეთ, არ მინდა გეუხეშოთ, მაგრამ... ახლა არ მცალია... მაინც... დიახ. კი, რა თქმა უნდა, ეს ძალიან საინტერესოა... სიამოვნებით მოგისმენდით, რომ მეცალოს... დიახ... როგორმე სხვა დროს, იქნებ...
	კარგით. კი ბატონო, ხვალ იყოს... დიდი ბოდიში, ახლა უნდა გავთიშო, ძალიან მნიშვნელოვან ზარს ველოდები... თქვენც დაგლოცოთ ღმერთმა. თქვენკენაააც... მადლობა და ნახვამდის.
	ყურმილს დებს. საძინებლიდან გამოდის ძმა.
ძმა	ვინ იყო?
დიდი	გინდა, ჭეშმარიტ ღმერთზე ვისაუბროთ?
ძმა	რა?
დიდი	შენ შეგიძლია მითხვა, რა არის ადამიანის ცხოვრების უმთავრესი აზრი?
მცირე	იყოს კმაყოფილი და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ იყოს კმაყოფილი.
დიდი	ჯერ ერთი, მოგიტყან გრამატიკის მასწავლებელი, წინადადების ეგრე დაწყობისთვის და მეორეც – შენი პასუხი არასწორია. (ძმას) იქნებ, თქვენ, ახალგაზრდავ?
ძმა	ვინ იყო?
დიდი	არ ვიცი, ვინ იყო, მაგრამ უკვე ვნანობ, რომ გავუთიშე. ახლა ხომ მეცოდინებოდა პასუხი ამ კითხვაზე. ეჰ, მივქარე.
ძმა	ფულზე არაფერი ისმის?
დიდი	სიახლეები ასე სწრაფად არ ხდება, საყვარელო.
მცირე	ხომ გთხოვე, „საყვარელოს“ ნუ ეძახი-მეთქი.
დიდი	კარგი. ახლა დასხედით, ცოტა დაისვენეთ, ყვერები მოიფხანეთ და მითხარით, რა ვქნათ?
მცირე	შენ რას გვთავაზობ?
დიდი	არ ვიცი.
ძმა	მე რომ დავურეკო?
მცირე	გაგიზდი? ეგრევე გავიყიდებით.
დიდი	წამალი სად ვიშოვოთ?

- ძმა** იქნებ მეტი არც დაგვჭირდეს. ძაან სუსტადაა ისედაც.
- დიდი** და რო დაგვჭირდეს, რა ვქნათ?
- მცირე** მოვიფიქრებთ რამეს. წინასწარ საიდან უნდა გვცოდნოდა, რომ არ დაგვთანხმდებოდა? ისე მართლა სუსტადაა ეტყობა, აღარ მღერის.
- დიდი** ამდენ ხანს გაბმულად რომ იმღერო, დასუსტდები, აბა რა იქნება. სულ არ მიკვირს.
- ძმა** საჭმელი ძალით უნდა ვაჭამოთ.
- დიდი** აჭამე მერე, ვინ გიშლის.
- ძმა** მარტო ვერ ვიზამ, უნდა მომეხმაროთ რომელიმე.
- დიდი** (მცირეს) შენ მიეხმარები.
- მცირე** არის, უფროსო!
- დიდი** კაი, ეგ გასაგებია, ძალით ვაჭმევთ, მაგრამ სხვა რა ვქნათ?
- მცირე** უფროსი შენ ხარ და მოიფიქრე. საერთოდაც შენი იდეა იყო. მე ეს არ მომიფიქრებია. ხოდა, შენ თვითონ გადაწყვიტე.
- დიდი** (დგება) არავის არ გვინდოდა, უბრალოდ ასე გამოვიდა. წავალ მე, დავხედავ, რას შვება.

საძინებელში გადის.

- ძმა** ახლა რა ვქნათ?
- მცირე** მე რა ვიცი, იმას კითხე.
- შემოდის დედა. იღებს ტელეფონს, რეკავს ბიჭებთან. ტელეფონის ზარი. **ძმა** ნელა დგება, მიდის ტელეფონთან და ყურმილს იღებს.
- ძმა** გისმენთ.
- დედა** გიორგი, მე ვარ.
- ძმა** ხო, დედა.
- დედა** გესმის ჩემი ხმა?
- ძმა** ხო.
- დედა** გუშინაც მთელი დღე გირეკეთ მე და მამაშენმა. არ პასუხობდი.
- ძმა** კი.
- დედა** ახლა სხვა ამბავზე გირეკავ. (პაუზა) შვილო.

- ძმა რა ამბავზე?
- დედა ეკა მოიტაცეს.
- ძმა ეკა?!
- დედა გუშინ. დაგვირეკეს გვიან, ფულს ითხოვენ, 60 ათას დოლარს და ხელს არ ვახლებთ, არაფერი დაუშავდებაო.
- ძმა პოლიციაში დარეკეთ?
- დედა არა. გაგვაფრთხილეს, პოლიციაში არ დარეკოთო. თანაც, სად ცალია პოლიციას ახლა შვილო, ყველა ომობს, მგონი.
- ძმა კაი, მე რა ვქნა, მითხარი, მოვიდე?
- დედა იქნებ გამოხვიდე ჩვენთან.
- ძმა კაი, ახლავე გამოვალ, დედა.
- კიდებს ყურმილს. დედა ჯდება. ჩუმადაა. მამა უკიდან ჩაუხუტება.*
- შემოდის დიდი.**
- ძმა დედაჩემი იყო. შენი და მოიტაცეს და 60 ათას დოლარს ითხოვენო, ტიროდა.
- მცირე რაო, რა გითხრა?
- ძმა იქნებ მოხვიდეო. რო არ წავიდე, არ შეიძლება, ეჭვს აიღებენ.
- მცირე ხო, წადი, წადი, რა თქმა უნდა.
- ძმა გასასვლელისკენ გაიწევს.*
- დიდი ე, მოიცა, ეგრევე მიდიხარ? ჯერ მოვილაპარაკოთ რაღაცეებზე.
- ძმა არა, ახლავე უნდა წავიდე. მალე მოვალ.
- გარბის.**
- მცირე როგორ ფიქრობ, ჩაგვიშვებს?
- დიდი რა სისულელეა.
- მცირე აბა, რა გადარდებს, წავიდეს.
- დიდი ეკამ ისევ ღრიალი თუ ატეხა, წამლის გაჩერა მე არ ვიცი.
- მცირე არა უშავს, რამეს მოვახერხებთ.
- დიდი სირცხვილი კია ისე, ამხელა თბილისელი ხალხი ვართ და ვენაში შპრიცის გაჩერა არ უნდა ვიცოდეთ?
- მცირე აბა, შენ ეგა თქვი! მაინც არავინ არ დაიჯერებს.

იცინიან. საძინებელი ოთახში ეკა ახმაურდება.

სიბრძელე

სცენა 5

საძინებელი ოთახიდან ეკას სიმღერა ისმის. დიდი და მცირე მის ოთახში შედიან. ძმა შედის მშობლების სახლში. ოთახში მხოლოდ დედა ზის.

დედა მოხვედი, შვილო?

ჩაეხუტება. ძმა ოდნავ შესამჩნევად მოიშორებს დედას და იქაურობას ცივად მოათვალიერებს.

ძმა ძაან შეგიცვლიათ.

დედა ხო. რამდენი წელია უკვე.

ძმა ის სადაა?

დედა ფულის საშოვნელად გავარდა.

ძმა პოლიციაში არ დაგირეკავთ?

დედა ჯერ არა.

ძმა რამდენს ითხოვენო?

დედა 60 ათას დოლარს.

ძმა მეტს არა?

დედა არა.

ძმა მერე, რას ფიქრობთ?

დედა დღეს ოთხ საათამდე მოგვცეს ვადა.

ძმა როგორ შეგიცვლიათ სამზარეულო. ეს არ იყო აქ ჩემ დროს.

დედა ოთხი წლის წინ გადავალებინე კედლები. ძველი რემონტი აღარ ვარგოდა უკვე.

ძმა კარგი ფერია, მომწონს.

დედა მართლა, დედა?

ძმა კი, ეს ჯობია ძველს.

დედა როგორ მიხარია, რომ მოგწონს. კიდევ ბევრი რამე შევცვალეთ, წამო, დაგათვალიერებინო... (წამოდგება, მაგრამ ხვდება, რომ ახლა ამის დრო არ არის და ისევ ჯდება)

ძმა ის მალე მოვა?

დედა	ძალიან ცუდ დღეშია, შვილო, ახლა. ძალიან. რომ განახა, შეგეცოდებოდა.
ძმა	(იცინის) შემეცოდებოდა?
დედა	გინდა, ჩაის დაგალევინებ?
ძმა	კი.
დედა	(ჩაიდანს დადგამს ცეცლხზე, ნელა ლაპარაკობს) წვერში ვიყავი ივლისში, ლესიასთან, ბალახები დავკრიფეთ. ხო გახსოვს, დედა, ლესია – ისევ ისე აგროვებს ამ ბალახებს, წამლებს არ ვენდობიო. ეს გამომატანა ცოტა – დუშიცა, რა ქვია ქართულად, არ მახსოვს. ჩაიში ვურევ ცოტას, პიტნასავით გემო აქვს, არ გინდა ცოტა გავურიო? რა ჭირს ამ გაზს, რატომ არ დუღდება. მამაშენი დამცინის, რას გაავსე სახლი ამ ბალახებითო, მაგრამ როცა ჭირდება, მშვენივრად სვამს ნაირ-ნაირ ნაყენებს...აი, ადუღდა, მოიცა, ჭიქაში დაგიყენებ ახლავე...ეს უშაქროდ ისმევა საერთოდ, ბოდიში, დედა, დამავიწყდა, რომ ისედაც უშაქროდ სვამ შენ. გამხდარხარ, შვილო. (ჭიქას დაუდგამს მაგიდაზე)
ეკას	ოთახიდან ვამოდიან მცირე და დიდი. სხდებიან. ეკას სიმღერის ხმა ძალიან მაღე წყდება. პაუზა. ორივე ოთახში ჩუმად არიან. უცებ დედა ტირილს იწყებს. ძმა ხელს მოხვევს და ამშვიდებს.
ძმა	კაი, დაწყნარდი ახლა. შენი ტირილი საქმეს არ უშველის.
დიდი	სადაა ამდენ ხანს, რატომ არ რეკავს?
მცირე	როგორ ფიქრობ, ხო არ ჩაგვიშვებს?
დიდი	რა სისულელეა. ჩაგვიშვებს და ახეხინებენ ვირის აბანოს ჩვენთან ერთად.
მცირე	რაღაცა ვნერვიულობ. გადაიხადოს იმანაც ეს ფული, რა გაატრაკა საქმე. დედა ცრემლებს იმშრალებს და ცდილობს თავს მოერიოს.
ძმა	რას აპირებს, როდის უნდა გადაუხადოს ფული?
დედა	აქვითინდება.

სიბნელე

სცენა 6

მცირე და დიდი მდუმარედ სხედან. შემოდის ძმა.

ძმა რას შვებით? ამასობაში ხო არ შეგხმიანებიათ? ახალი ბარათი ჩადეთ
ტელეფონში? კაი რა, ცოტა თქვენც გაინძერით! მარტო მე ხო ვერ გავაკეთებ
ყველაფერს.

მცირე პაუზა.

ეკას ხმა არ ისმის, ძინავს?

მცირე პაუზა.

რა გჭირთ, ხალხო, ამდენი ვილაპარაკე, მითხარით რამე.

მოიცა. მოხდა რამე?

თქვენ შიგ ხო არ გაქვთ, ამოიღეთ ხმა!

მცირე პაუზა. მცირე დგება და სრულიად უაზროდ იწყებს ბალიშების სწორებას. ძმა
აკვირდება მის უმიზნო ბოდიალს.

ძმა რომელმა?

მცირე რა მნიშვნელობა აქვს?

ძმა დიდი ხანია?

დიდი შენ რო გახვედი, ეგრევე აყვირდა. ეტყობა, გაიგონა, სადაც მიდიოდი.

მცირე ეგრევე გაითიშა, იმწამსვე.

ძმა რომელმა გაუკეთეთ?

დიდი (უყვირის) რა მნიშვნელობა აქვს, ხო მოკვდა უკვე.

ძმა ხელს ძლიერად ჰკრავს, გზიდან მოიშორებს. საძინებელში შერბის. ტელეფონის ზარი.

მცირე მიდი, ტელეფონს უპასუხე.

დიდი პასუხობს ტელეფონს.

დიდი გისმენთ.კი, გიორგი ვარ და კიდევ ერთხელ თუ დარეკავ აქ, შენ მოგიტყნავ შენს
კარგის ტრაკა! ნუ შემეცი ამ შენი ცხოვრების აზრით!

(გაპრაზებული დაახეთქებს ყურმილს.)

მცირე ვინ იყო?

დიდი ისევ ის გიში ქალი. (პაუზა) სუნი როდის დადგება?

მცირე რა სუნი?

დიდი როდის აყროლდება გვამი?

მცირე მე რა ვიცი.

დიდი	ის კიდევ იქაა?
მცირე	კი.
დიდი	რას აკეთებს ამდენ ხანს?
მცირე	მე რა ვიცი, ემშვიდობება, ალბათ.
დიდი	ახლა შეუყვარდა? ვერ იტანდნენ ერთმანეთს მთელი ცხოვრება.
მცირე	აქამდე მკვდარი არ ყოფილა და...
დიდი	ხო, ეგეც მართალია.
სიჩუმე. დედა მიუახლოვდება მამას და მხარზე ხელს ჩამოადებს.	
დედა	ჩემი შვილები მე სიყვარულით გავზარდე. რამდენადაც შემეძლო. ყველაფერი შევწირე მე ჩემს შვილებს და არ ვნანობ. უნდა მიხვიდე, გურამ, შენს შვილთან სახლში და ბოდიში მოუხადო. გაპატიებს, ვიცი. არაა ცუდი ბიჭი ჩემი გიორგი. გაპატიებს და დაგეხმარება, იმასაც ყავს მეგობრები, თავისი დის გადასარჩენად რას არ გააკეთებს. მიდი, გურამ. სხვა გზა არ გვაქვს, ხომ ხედავ. დროს ნუ დაკარგავ. გეხვეწები (თანდათან ისტერიკაში გადასდის) სად გდია ახლა ჩემი შვილი, ჩემი გოგო, ვინ იცის. რა გული გიძლებს, გურამ, გააკეთე რამე. გთხოვ. წადი გიორგისთან და შეეხვეწე, მოგეხმაროს. პოლიციის იმედად ჩემი მტერი იყოს. ვის ცალია ახლა ჩვენთვის, გურამ, პოლიციაც ომზეა გადასული. გურამ, ადექი-მეთქი. გურამ!

სიბნელუ

სცენა 7

მცირე	ერთხელ ყური მოვკარი, თუ როგორ იკითხა ერთმა დარღიმანდმა კაცმა, როცა იგი ხელით ამოიყვანეს აბაზანიდან და სავარძელში ჩასვეს: „უკვე ვზივარ?“ როგორ გგონია, ამ კაცს, რომელმაც არ იცის, ზის თუ არა, ეცოდინება – ცხოვრობს თუ არა, ხედავს თუ არა...?
დიდი	რა?
მცირე	არაფერი. დაიკიდე. როგორ გგონია, მალე მოგვაკითხავენ?
დიდი	რა მნიშვნელობა აქვს?
მცირე	დროს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. მალე მორჩეს. აღარ შემიძლია.

დიდი ვნახოთ, რამდენ ხანში მოგვაგნებენ. წესით, დიდი დრო არ უნდა დაჭირდეთ.

(საძინებელი ოთახიდან ისმის ყრუ ქვითინის ხმა.)

მცირე მიდი, დარეკე პოლიციაში.

დიდი ჯერ არა. მე თვითონ ვიცი, როდის დავრეკო.

მცირე საათი თორმეტჯერ რომ ჩამოკრავს, / თუ

დიდი ჯერ საქმე გვაქვს.

მცირე რა საქმე?

დიდი მიდი, იმას დაუძახე და მოგიყვები. ორჯერ მოყოლის თავი არა მაქვს.

მცირე გიო!

(დუმილი.)

გიო!

დიდი შედი და გამოიყვანე.

მცირე დგება, საძინებელ ოთახში გადის. **დიდი** დგება, სავარძლებს ასწორებს, არეულ

ბალიშებს თავის ადგილას მიაღავებს, მავიდიდანაც წმენდს თითქოს რაღაცას. ჯდება.

შემოდის **მცირე**, თან **ძმა** მოჰყავს.

დიდი დასხედით.

მცირე და **ძმა** სხდებიან.

დიდი და კარგად მომისმინეთ. ჩვენ დაგვიჭერენ და გაგვასამართლებენ.

მცირე მერე?

დიდი ამისთვის უნდა მოვემზადოთ.

ესე იგი, გამოსასყიდის მიღების მიზნით მოვიტაცეთ ახალგაზრდა ქალი,

რომელიც იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დამწყვდეული გვყავდა

შენს ბინაში. ერთხელაც შევედით და მკვდარი დაგვიხვდა. ჩვენ ის წინასწარი

განზრახვით არ მოგვიკლავს.

მცირე დარწმუნებული ხარ?

დიდი რაში უნდა ვიყო დარწმუნებული?

მცირე რომ წინასწარი განზრახვით არ მოგვიკლავს?

დიდი რა თქმა უნდა, შენ რა /

მცირე რაც გავუკეთეთ, წინასწარი განზრახვა იყო, აბა რა იყო?

- დიდი** მე თქვენ სერიოზულად გელაპარაკებით, რაღაცა უნდა ვქნათ, სანამ პოლიცია
მოგვაგნებს.
- ძმა** იქნებ ვერ მოგვაგნონ?
- დიდი** უეჭველი გაფრთხილებული ეყოლება პოლიცია. უკვე, ალბათ, გამოჭერილი
ვყავართ და სადაცაა მოგვადგებიან.
- ძმა** არ უყვარს მაგ კაცს პოლიცია, მე მაინც ნუ მასწავლით.
- მცირე** ჩემი ბედი რო ვიცი, ახლა შეუყვარდებოდა.
- დიდი** ასე რომ, დამალვას არანაირი აზრი არა აქვს.
- მცირე** აბა, რა ვქნათ?
- სიტყვას აწყვეტინებს ზარის ხმა კარზე.
- დიდი** აპა, მოვიდნენ.
- მცირე** როგორც იქნა!
- დიდი** (ძმას) რას უდგეხარ, წადი, გააღე.
- ძმა** მე რატომ უნდა გავაღო?
- დიდი** შენი სახლია და აბა, ვინ უნდა გააღოს, შენ თუ არ გააღებ, გიორგი?
- მცირე** მე გავაღებ.
- დიდი** შენ არა, ეს გააღებს.
- ხელს კრავს **ძმას**, კარში აგდებს. უესტით ანიშნებს **მცირეს**, ჩუმად იყავით. დია კარიდან
გარკვევით ისმის ლაპარაკი.
- ძმა** ვინ გნებავთ?
- ხმა** არ გინდათ, ჭეშმარიტ ღმერთზე გესაუბროთ?
- ძმა** არა, გმადლობთ.
- ხმა** თქვენ შეგიძლიათ მითხრათ, რა არის ადამიანის / ცხოვრების აზრი?
- ძმა** იცით, მე / ახლა
- ხმა** მესმის, გადასარევად მესმის თქვენი. მესმის, რომ ამ კითხვაზე პასუხი არა გაქვთ.
არც მე მქონდა, სანამ ჭეშმარიტ ღმერთს, იეჰოვას არ ვაღიარებდი და ბიბლიის
შესწავლას / არ დავიწყდები.
- ძმა** ნახვამდის.

კარს უხურავს და ოთახში ბრუნდება. სამივენი მდუმარედ დგანან. კარს მიღმა ისევ ისმის იგივე ხმა.

ხმა არა უშავს. მე კიდევ მოვალ თქვენთან და ცხოვრებისეულ ჭეშმარიტებებზე მოგიყვებით. თქვენ უბრალოდ, არა ხართ სულიერად მზად, ახლა ამაზე მელაპარაკოთ, მაგრამ საჭირო დროს მე თქვენ გვერდით ვიქნები. ახლა კი, თქვენის ნებართვით, კართან ბუკლეტებს დაგიტოვებთ, თავად დარწმუნდებით, რომ თქვენ ეს ძალიან გჭირდებათ. გახსოვდეთ, ღმერთი მუდამ თქვენთანაა და ყველაფერს მოგიტევებთ. ღმერთი თქვენკენ. (პაუზა) ჰო, ისა, კარი ფრთხილად გამოაღეთ, ბუკლეტები ღრიჭოში გავარჭე და არ დაგიცვივდეთ. ნახვამდის. მე დავრბუნდები.

ხმა ნუდება. იეპოვას მონაბე ნავიდა.

დიდი მიდი ერთი, შემოიტანე ეგ ბუკლეტები, იქნებ იეპოვაშ მაინც გვასწავლოს, როგორ მოვიქცეთ. რას უდგეხარ, მიდი, შემოიტანე.

მცირე გაოცებული მზერით გადის. კარს გაიჯახუნებს. **დიდი** გაუღუმებს ძმას, მხარზე ხელს ჩამოადებს, დაეძგერება, მთელი ძალით ეხუტება. მცირეს შემოაქვს ბუკლეტები. დიდი გამოართმევს და თვალიერებას იწყებს.

მცირე დაგვერხა.

დიდი (მშვიდი ისტერიულობით) ყლეზე მკიდია! მე არ ვარ დამნაშავე, უბედური შემთხვევა იყო. ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ წინასწარი განზრახვა იყო...

ძმა როგორი ძნელი ასახსნელი იქნება, ალბათ, და ვინ დაიჯერებს, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ უკეთესი ცხოვრებისთვის დაგვემართა.

მცირე არის თუ არა ადამიანის უფლება, ჰქონდეს კარგი ცხოვრება?

დიდი ყლეზე კიდიხარ ყველას და ეკიდე ყოველთვის. გასკდი პროჭზე თუ გინდა, მაინც ყლეზე კიდიხარ ყველას. ვის რას დაუმტკიცებ ოღონდ?

მცირე ჩემ ყლეს.

ძმა ხო.

დიდი ვერა.

მცირე მერე რა?

დიდი არაფერი.

ძმა	რა ვქნათ? (პაუზა)
დიდი	კამერა გაქვს?
ძმა	კი, ძველი.
დიდი	მიდი, მოიტანე.
მცირე	რად გინდა კამერა?
დიდი	მიდი, მოიტანე, ვიდეო უნდა გადავიღო – მოვუყვეთ ყველას, როგორი კარგი ბიჭები ვართ სინამდვილეში და ჩვენი ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ დროზე არ გავასწარით ამ დედამოტყუნული ქვეყნიდან, სადაც ბოლო 20 წელიწადში 4 ომი, ჩემი ყლე დათვლის, რამდენი კრიზისი, გადატრიალება და რევოლუცია მოხდა და სადაც მაკლიური პრესტიულ რესტორნად ითვლება. სადაც 21-ე საუკუნეშიც მაიძულებენ, დედამოტყუნული რაინდივით აბჯარი ავისხა და დედამოტყუნულ სამშობლოს შევწირო თავი. მოიტანე ეს დედამოტყუნული კამერა, რა გახდა?
ძმა	ახლავე.
ძმა გადის.	
დიდი	(მცირეს) პერანგი გაისწორე და თმა დაივარცხნე. კარგად უნდა გამოვჩნდეთ ვიდეოში.
მცირე	შენა, როგორ ფიქრობ, ეს ფერი მიხდება? რამე სხვა ხო არ ჩამეცვა, გიორგის ვთხოვდი /
დიდი	მკვდრების თუ არ გეშინია, შედი ოთახში და აიღე.
მცირე	ოთახისკენ გაემართება. შუა გზაზე შეჩერდება, გადაიფიქრებს და პერანგის სწორებას იწყებს.
სიბრუნვე.	

სცენა 8

დიდი და მცირე კამერის უკან დგანან. ძმა კამერის წინ ზის. მეორდება "პროლოგის" სცენის დასასრული.

ძმა ...საქართველო ამ საქმისთვის მეტისმეტად პატარაა, აქ არ უყვართ წიგნები და ვისაც უყვარს, ისიც კი ძალიან ცოტას კითხულობს. არასწორი ქვეყანაა მწერლისთვის. უფრო სწორედ, კარგი ქვეყანაა, უბრალოდ, აქედან აუცილებლად უნდა გაიქცე და მერე სამშობლოს მონატრებაზე წერო; ან აგინო სამშობლოს.

მე არაფრის არ მეშინია. მამაჩემისაც არ მეშინია, 21 წლის ასაკშიც არ მეშინოდა
და ახლა მით უმეტეს არ მეშინია /
კარზე ზარის ხმა აწყვეტინებს.

ისევ ის ქალია? მიდი რა, გაულეთ და დაიფრინეთ. მოტყნა ტვინი უკვე.

მცირე გადის. რამდენიმე წამში შემოდის მამა.

გამარჯობა, მამა.

მამა გამარჯობა.

გამარჯობა, ბიჭებო.

დიდი გამარჯობა. ხო მშვიდობაა, ძია გურამ?

მამა რამდენადაც ასეთ დროს შეიძლება მშვიდობა იყოს, კი მშვიდობაა

მამა (შეამჩნევს ჩართულ კამერას)

ხელი შეგიშალეთ, არა? რაღაცას აკეთებდით.

მცირე არა, არა. ისეთს არაფერს.

(ჩართულ კამერას გურამს მიუშვერს, გურამის სახე პროექციით იშლება ეკრანზე. თითქმის
მთელი დანარჩენი სცენა მის სახეს მსხვილი პლანით ვხედავთ)

მამა გეტყოდათ, ალბათ, გიორგი. ეკა მოიტაცეს ვიღაც ნაბოზვრებმა, გამოსასყიდს
ითხოვენ.

მცირე ხო, გვითხრა.

მამა თქვენ არ მოგივიდათ პავესტკა? არ ხართ გაწვეულები.

მცირე კი.

მამა მერე, არ მიდიხართ? თუმცა, არაა ეს ჩემი საქმე.

დიდი არა, რატომ, ძია გურამ, როგორ არაა თქვენი საქმე. მამად გვეკუთვნი ჩვენც და
მაგიტომ გაქვს უფლება, გვკითხო.

მცირე რამე ხო არ დაგველია?

მამა არაყს დავლევდი, თუ გაქვთ. ისეთ ხასიათზე ვარ ახლა /

მცირე ახლავე

გადის. მოაქვს სასმელი და აწვდის.

დიდი რა ხდება, ძია გურამ?

- მამა** ბიჭებო, თუ არ გეწყინებათ, იქნებ გიორგისთან ცოტა ხანს მარტო დამტოვოთ.
- სალაპარაკო მაქვს. სწორად გამიგეთ, თქვენი ჭირიმე, ოჯახური ამბავია, ხო
- იცით...
- მცირე** ძია გურამ /
- დიდი** გავედით!
- (ხელს ჩავლებს მკლავში მცირეს და საძინებელი ოთახისკენ ექაჩება)
- მცირე** არა, მანდ არა! სამზარეულოში გავიდეთ.
- (დიდი და მცირე გადიან. პაუზა. **მამა** ძმას მისჩერებია. **ძმა** სხვა მიმართულებით იყურება. თითქოს ცდილობს, არ იმოძრაოს, შებოჭილია)
- მამა** რა კარგი მეგობრები გყავს, ოქროს ბიჭები. რა კარგია, რომ ასეთ დროს გვერდში ვიღაც გიდგას.
- ძმა** “მაგრამ შენ ხომ გყავს მეგობრები. ბევრი მეგობარი გყავს. ასეთს რას აძლევ, სულ მხარში რომ გიდგანან?”
- მამა** რა?
- ძმა** არაფერი.
- მამა** მეც ბევრი მეგობარი მყავს, კი.
- მყავდა, უფრო სწორედ.
- სადღა არიან მეგობრები. ეგრეა, როცა საქმეში ფული გაერევა, იქ მეგობრობა მთავრდება. ყველა მგელდება და ავიწყდებათ ძმაკაცობაც და ყველაფერი. თანაც, ბიჭო, ხო იცი, რა ცხოვრება დადგა. მორჩა ძველი დრო და გულაობა, აღარ ჭრის ნაცნობობა არსად. რას ვბოდიალობ. დავბერდი. დამისხი ერთიც.
- (**ძმა** ადგილიდან არ იძვრის. მამა ერთხანს ელოდება, როდის დაუსხამს. მერე თვითონ წამოიდგება და დაისხამს ჭიქაში სასმელს, სულმოუთქმელად გადაკრავს, კიდევ დაისხამს.)
- მამა** ეს ომი ხო საერთოდ. კიდე ეს გვინდოდა ახლა?! ისედაც ტრაკში გვქონდა საქმე. აქამდე ხო დამაყიდინეს ყველაფერი, ხან ჯარიმა შემანერეს, ხან უკანონოდ გაქვთ მითვისებული 90-იანებშიონ და ყველაფერი წამართვეს, ბიჭო, თითქმის. ახლა კიდე ეს ომი. მთლად დავიქცევით. რა ფული უნდა გვეყოს... შენ არ სვამ?
- (ძმა არ პასუხობს. ადგილიდან არ იძვრის)
- მამა** მე დავლევ კიდე ცოტას. (ისხამს სასმელს და სვამს)

დავთვერი, ბიჭო, ხო იცი შენ. სად შემიძლია ამდენი, დავბერდი.

მარა ვის ჯერა რო არ შემიძლია? ყველას ისევ ახალგაზრდა ვგონივარ, როცა
ყველაფერი შემეძლო.

რა ვქნათ, მამა? უნდა დამეხმარო.

ძმა რაში?

მამა ფული უნდა შევაგროვოთ, მამა, იმათ რომ გადავუხადოთ. ეკას გამოსასყიდი.

ძმა 60 ათასი არ გაქვს?

მამა ომი რომ არ იყოს, ერთ საათში ვიშოვიდი, მამა, მაგრამ ახლა რა ვქნა? საიდან
მოვიტანო?

ძმა ძმაკაცები ხო გყავს? ბევრი ძმაკაცი ხო გყავს? გამოართვი.

მამა არავინ არ დარჩა თბილისში. გაქცეულია ყველა. ბანკები არ მუშაობს, კრედიტს
ვერ ავიღებ, ვერაფერს ვერ გავყიდი. არ ვიცი, რა ვქნა.

ძმა ჩემგან რა გინდა?

მამა დამეხმარე. ყველაფერი დავკარგე. ქალალდის ფაბრიკაც გაკოტრებულია და
გაყიდვა მომიწევს, როგორც კი ომი დამთავრდება. თუ დამთავრდა ოდესმე. ახლა
შენი დის სიცოცხლეზეა ლაპარაკი, როგორმე უნდა მოვაგროვოთ / ეს ფული

ძმა შენ რატომ არ გაიქეცი?

მამა სად?

ძმა შენ რატომ არ წაყევი შენს მდიდარ ძმაკაცებს აზერბაიჯანში ან სომხეთში?

მამა თავის დროზე არ გავქცეულვარ არსად, როცა გასაქცევი იყო და ახლა სად
წავალ?

ძმა ვაჟებცი ხარ, მამა?

მამა რა ლაპარაკია ახლა ეს?

ძმა მიდი, კიდე დალიე. რატომ არ სვამ?

მამა (ყვირის) მაინცდმაინც გინდა, რო მუხლებზე დაგიდგე და ბოდიში
მოგიხადო?! გსიამოვნებს, ხო, დაჩიმორებულს რომ მხედავ? რა დრო დაგიდგა,
მამაშენი გეხვეწება, დამეხმარეო, როგორც იქნა, შენც გახდი საჭირო და ახლა
შეგიძლია ყველაფერი გამოისყიდო. კარგი, ჰა, დავდგები მუხლებზე, შენი დედა
მოვტყან, დაგიდგები მუხლებზე და შეგეხვეწები, მაპატიე!

(უსაშველოდ გრძელი პაუზა. ერთმანეთს უყურებენ. უხერხულად შემოდიან მცირე და დიდი)

- ძმა** ფული არა აქვს, ვერც შევაგროვებო. შენი მეგობრები იქნება დაგეხმარონ და ერთად ვქნათ რამეო.
- დიდი** ცუდი ღადაობაა.
- მამა** 60 ათასია სულ შესაგროვებელი.
- დიდი** თქვენ თუ ხვდებით, რამხელა მძღნერში ვართ?
- მამა** ბატონო?
- დიდი** შენ არ გეუბნები.
- მცირე** რა ვქნათ?
- მამა** რაზე ლაპარაკობთ, ბიჭებო /
- ძმა** მოკეტე!
- დიდი** რამდენი წელი გამოდის?
- მცირე** რვიდან თვრამეტამდე. დამამძიმებელი გარემოებებით – ორგანიზებული დანაშაული, ჯგუფური, გატაცებულის ჯანრთელობას ზიანი მიადგა... მოკლედ, სრული თვრამეტი წელი გვეჭყანება.
- დიდი** ესე იგი, 48 წლისა გამოვალ ციხიდან? კაია. არაა გვიანი ცხოვრების თავიდან დასაწყებად.
- მამა** ვერაფერი ვერ გავიგე.
- დიდი** რა ვერ გაიგე? არ გვინდა ამ დედამოტყნულ ომში, არ გვინდა ამ ქვეყანაში საერთოდ, გაქცევა გვინდა. გაიგე ახლა?
- მამა** გიორგი...
- დიდი** რა გიორგი? ან რომელი გიორგი? მე, ეს თუ ეს? თუ ისიც, ისიც და ისიც? ბევრს ხო არ ვითხოვ, ეს დედამოტყნული – უბრალოდ მინდა ვაკეთო საყვარელი საქმე და ამაში ვინმემ გადამიხადოს ფული. მორჩა.
- მცირე** ესაა ღორების ქვეყანა. ყველა იმას ცდილობს, ცხოვრებაში ჩაგიჯვას. იმიტომ, რომ თვითონ ჩაჯმული აქვს და ეშინია, შენ არ გაგიხარდეს რამე.
- მამა** ამიხსნით რამეს, ბოლოს და ბოლოს?!?
- დიდი** შენ ნუ ღრიალებ მანდ, ხმას დაუწიე!

- მამა** ვის უბედავ, შე ნაბიჭვარო!
- (გაექაჩება. დიდი ერთს დაარტყამს და იატაკზე დააგდებს.)
- ძმა** ესაა ყლეების ქვეყანა. არავინ არაფერს აკეთებს. აზრი არა აქვს კეთებას და იმიტომ. მარტო შენ ვერაფერს ვერ უშველი – მაინც სალორე იქნება ირგვლივ.
- ასეთი საშინელი რა დავაშავე წინა ცხოვრებაში, აქ რო დავიბადე?
- მცირე** (ყვირის) ყლეზე მკიდია! მე არ ვარ დამნაშავე, უბედური შემთხვევა იყო. ვერავინ ვერ დამიმტკიცებს, რომ წინასწარი განზრახვით ვმოქმედებდი...
- ძალიან გრძელი პაუზა. მამა დგება და სწრაფი ნაბიჯით გაიწევს კარისკენ. მცირე და დიდი დაიჭერენ. ძმა უძრავად ზის.
- მამა** ხელი გამიშვით.
- დიდი** ვერა, ვერ გაგიშვებთ. სანამ იმ ფულს არ ჩაგვაბარებ, ვერ გაგიშვებთ. დრო არ გვაქვს. მთელი ცხოვრება ვითმინეთ, ახლა სხვა გზა არ გვაქვს. შენც აქ დარჩები, სანამ ფული არ ჩაგვბარდება.
- მცირე** ახლა აიღებ ტელეფონს, ცოლს დაურეკავ და მშვიდად აუხსნი, რაც ხდება.
- მამა** შენც, შვილო?
- ძმა** გააკეთე, რასაც გეუბნებიან!
- მამა** შენი დედა მოვტყან!
- ძმა წამოხტება, ხელს კრავს მამას, იატაკზე დააგდებს და წიხლებს ურტყამს მუცელში. დიდი და მცირე ცოტა ხანს დააცდიან, მერე შეაჩერებენ. დაკუჭულ ტილოს ჩაჩრიან პირში და მაგრად გაკოჭავენ.
- ძმა** იქ შევათრიოთ!
- სამივენი შეათრევენ მამას საძინებელ ოთახში და კარს გარედან კეტავენ. ხმების მიხედვით ვხვდებით, რომ მამა იქ მკვდარ ეკას დაინახავს. ოთახიდან მამის დახშული ღრიალი ისმის, პირი ჩვრითა აქვს გამოტენილი.
- სამზარეულოში შემორბის დედა, დაეძგერება ტელეფონს და შვილს ურეკავს.
- დიდი** (ძმას) ჰე, კიდევ დიდხანს უნდა იდგე ახლა ასე? მიდი, უპასუხე.
- ძმა მიდის ტელეფონთან, ყურმილს იღებს.
- ძმა** გისმენთ.
- დედა** მე ვარ, დედა. მამაშენი მოვიდა?
- ძმა** კი.

- დედა** ტელევიზორს უყურებთ?!
- ძმა** არა, დედა.
- დედა** ომი დამთავრდა, დედა. ახლა გამოაცხადეს – ზუსტად ამწუთას, 7-ის 20 წუთზე, დედა. მიშა გამოვიდა და ცეცხლის შეწყვეტა მოითხოვა. მორჩა, დედა, აღარ გაგიწვევენ ანი. რას გავდარჩით, შვილო. რომ წარმოვიდგენ, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მეტირება, დედა. შვილო, გელაპარაკა მამაშენი? გეხვეწები, აპატიე, დედა. არ იცი, რა დღეშია. გთხოვ. ახლა არაა ამის დრო, შვილო. უნდა ვიშოვოთ ყველამ ერთად როგორმე ის დაწყევლილი ფული და გადავარჩინოთ შენი და, შვილო. სარკოზის შეუდგენია სამშვიდობო გეგმა, შვილო. ხო იცი, საფრანგეთია მაინც, რუსეთის მეგობარი ქვეყანაა და ეგენი ერთმანეთს ანგარიშს უწევენ. ის დამპალი პუტინი ოლიმპიადიდან წამოსულა ამ ამბის გამო. უი, დედა, ოლიმპიადა სულ დამავიწყდა. კარგი ამბავიც გითხრა, შვილო! ჩვენებმა სამი ოქროს მედალი და სამი ბრინჯაო მოიგეს პეკინში! წარმოგიდგენია, ყველას დაგვავიწყდა ოლიმპიადა... (გრძელი პაუზა)
- რატომ არაფერს არ მეუბნები, დედა? რა იყო, შვილო? მოხდა რამე?

დასასრული